ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1884158

ნომერი: AR1298789

თარიღი : 16.04.2015

გაცემის თარიღი : 11.05.2015

გაცნობის თარიღი : 11.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე , N 42ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გიგაური პ/ნ 01010005458
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 2 ბ. 51

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 01.05.2015წ. N AR1298789 განმეორებითი განცხადება, რომლითაც მოითხოვეთ სამსახურის 26/11/2014წ. N 1613285 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 30.04.2015წ. N 1858226 ბრძანებით, საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათების წარმოდგენა.
სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათები და დაადგინა, რომ ხარვეზი არ არის შევსებული, კერძოდ, 01.05.2015წ. N AR1298789 განცხადებასთან ატვირთული ფოტომასალა არ შეესაბამება N AR1257121 განაცხადით წამორდგენილ ფოტოებსა და 26/11/2014წ. N 1613285 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ ფოტომონტაჟს. გამომდინარე აღნიშნულიდან, ვერ დგინდება, ნაწარმოებია თუ არა სამუშაოები 26/11/2014წ. N 1613285 გადაწყვეტილების საფუზველზე.
ვინაიდან ხარვეზის განმეორებით დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას გაეცანით 2015 წლის 30 აპრილს, მის გამოსასწორებლად დადგენილი 5 (ხუთი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 3 (სამი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას დარჩენილი 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, კერძოდ: უნდა წარმოადგინოთ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, რომელების შესაბამისობაში იქნება N AR1257121 განაცხადით წამორდგენილ ფოტოებსა და 26/11/2014წ. N 1613285 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ ფოტომონტაჟთან.
აღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.04.2015წ. N 1858226 ბრძანების შესაბამისად, თქვენი N AR1298789 განცხადება დარჩება განუხილველი.